საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„კარმენ-K“

კარმენ-K

„კარმენ-K“ (შპს), ერთ-ერთი დიდი წისქვილკომბინატი საქართველოში (ყოფ. კაჭრეთის პურპროდუქტების კომბინატი). მდებარეობს სოფ. კაჭრეთში. კაჭრეთის პურპროდუქტების კომბინატის მშენებლობას საფუძველი ჩა-ეყარა 1975 მარტში. შედგებოდა შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისგან: ელევატორი (პირველი ხორბალი მიიღო 1977 ოქტომბერში, საპროექტო სიმძლავრე – 118 ათ. ტ მარცვლის ტევადობა წელიწადში); წისქვილის საამქრო (ამუშავდა 1979 ოქტომბერში, ხორბლის გადამუშავების საპროექტო სიმძლავრე – 245,0 ტ/დღღ); კომბინირებული საკვების საამქრო (ამოქმედდა 1980, კომბინირებული საკვების წარმოების საპროექტო სიმძლავრე – 630,0 ტ/დღ-ღ). საწარმოს ძირითადი საქმიანობა იყო ხორბლის მიღება, შენახვა, გადამუშავება, ფქვილის წარმოება, რეალიზაცია და მეცხოველეობისა და მეფრინველეობისათვის კომბინირებული საკვების წარმოება. 1996-იდან კაჭრეთის პურპროდუქტების კომბინატის ბაზაზე შეიქმნა სააქციო საზ-ბა „კახეთის პური", რ-იც შემდეგ აუქციონის წესით გაიყიდა, 2006 წ. 6 იანვრიდან კერძო საკუთრება გახდა და ფუნქციონირება დაიწყო შპს „ფორტე-კახეთის" სახელწოდებით. 2007 მას შპს „მკათათვე", 2010 წ. 3 ნოემბრიდან კი [დაფუძნდა შპს „აგროსისტემების" (მარნეულის წისქვილკომბინატი) მიერ] „კ-K" ეწოდა. წარმოება ხორბლით მარაგდებოდა ყაზახეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან. ადგილ. ხორბალს ყიდულობდნენ ფერმერებისგან. კაჭრეთში წარმოებული ფქვილი მიეწოდებოდა კახეთის, თბილისის და საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის პურის საცხობებს და მოსახლეობას. 2015 სექტემბრიდან საწარმოს საქმიანობა შეჩერებულია. ამჟამად „კ-K" მხოლოდ შპს „აგროსისტემებიდან" მიღებული ფქვილის რეალიზაციას ახდენს. პროდუქცია ბაზარზე გამოდის სავაჭრო ნიშნით

„KARMEN"-ი.

ლ. აბრამიშვილი